№ 92 10 მკათათვე, ქვირა 1866—1877 10 მკათათვე, ქვირა № 92

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ერთ ასოებით ასოზე—[illegible] კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცალკერთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲕᲘᲓᲠᲔ 1878 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲐᲛᲓᲘᲜ

მიიღება თფილისში, „დროების" რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების" აგენტებთან.

ᲤᲐᲡᲘ ნახევარ წლის გაზეთისა—4 მან. და 50 კაპ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба."*

ᲣᲛᲝᲬᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲘᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ, ᲠᲐᲒ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲔᲜ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲔᲜ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

(ოფიციალური)

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲝᲩᲣᲛᲘ, 4 ივლისს. ᲒᲣᲨᲘᲜ ღენერალმა ᲐᲚᲮᲐᲖᲝᲕᲛᲐ გაიარა ᲥᲐᲓᲝᲠᲘᲡ ᲣᲩᲘᲡᲢᲥᲐ; ჩვენმა ჯარმა გადაიარა ᲗᲮᲘᲜᲘᲡᲐ და ᲩᲘᲚᲝᲕᲘᲡ მთები მდ. ᲝᲩᲐᲥᲐᲠᲐᲛᲓᲘᲜ და შემდეგ მოკვეთ უკანვე დაბრუნდა; ამ ადგილებიდამ სულ გაფარტა მტერი. ᲗᲣᲛᲪᲐ მტრის ჯარი ძალიან გამაგრებულია და კარგს ადგილებზედ დგას, მაგრამ ყველგან დავამარცხეთ ისინი და ბევრი ზიანიც მივეცით.

ᲩᲕᲔᲜᲘᲡ მხრით 1 სალდათი მოკლულია და 3 დაჭრილი.

ᲝᲩᲣᲛᲘ, 5 ივლისს. მდ. მოკვეის ზემო მხარე ჩვენი ჯარისაგან არის დაჭერილი.

ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲔᲨᲘ განსაკუთრებული მოძრაობაა ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ხომალდებისა; ამ დღეებში ოთხი ახალი ხომალდი მოვიდა იქ.

ᲘᲒᲓᲘᲠᲘ, 7 ივლისს. ᲐᲛ თვის 9-დამ დაწყებული ვიდრე 28-მდინ მტერთან შეტაკების დროს ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ატრიადში მოკლული არიან: პოდპოლკ. ᲥᲝᲕᲐᲚᲔᲕᲡᲙᲘ და პოდპოლკ. ᲞᲐᲪᲔᲕᲘᲩᲘ; დაჭრილები არიან: შტ.-კაპ. ᲑᲘᲖᲘᲐᲙᲘ, პოდპორ. ᲢᲔᲠᲔᲮᲘᲜᲘ, პოდპ. ᲡᲐᲙᲐᲚᲝᲕᲡᲙᲘ და შტ.-კაპ. ᲑᲐᲑᲙᲘᲜᲘ.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲡᲐᲠᲐᲧᲐᲛᲘᲨᲘᲓᲐᲛ, სადაც, ᲖᲘᲕᲘᲜᲗᲐᲜ ომის შემდეგ, დაბანაკდა მუხთარ-ფაშა, გაზეთის „Times"-ის კორრესპონდენტი შემდეგ ამბავს იწერება ᲖᲘᲕᲘᲜᲗᲐᲜ შეტაკების თაობაზედ:

„ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲡ ჩაუვარდათ ხელში რუსის ჯარიდგან გაგზავნილი წიგნები, რომლისაგან სჩანს, რომ ᲖᲘᲕᲘᲜᲗᲐᲜ დამარცხება რუსებისა ღენერალი ᲖᲔᲘᲛᲐᲜᲘᲡ პლანის ბრალი ყოფილა. ᲐᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ რუსების მხრით 1000 კაცამდინ დაიღუპა, ამათ რიცხვში 30 აფიცერი; ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲘᲡ მხრით ᲖᲘᲕᲘᲜᲗᲐᲜ მოკლეს 7 აფიცერი და 131 სალდათი, დაჭრეს 15 აფიცერი და 313 სალდათი.

„მეორე დღეს, 14 ივნისს, ღენერალ ᲖᲔᲘᲛᲐᲜᲡ კიდევ უნდოდა იერიშით მისულიყო ᲖᲘᲕᲘᲜᲘᲡ ასაღებად; მაგრამ ამ არმიის მთავარი სარდალი ღენ.-ადიუტ. ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘ არ დათანხმდა და ამნაირად რუსის ჯარმა უკან დაიწია ᲧᲐᲠᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ.

—

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ Daily Telegraph"-ში დაბეჭდილია 25 ივნისს დაწერილი და ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც ავტორი ამბობს, რომ ᲖᲘᲕᲘᲜᲗᲐᲜ ბრძოლის შემდეგ, რუსებმა გამოიყვანეს თავის გარნიზონები ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲘᲓᲐᲛ და ᲐᲠᲓᲐᲜᲣᲯᲘᲓᲐᲛ, რადგან ცოტანი იყვნენ და ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡ თავ-დასხმის ეშინოდათ, მაგრამ გზაზე შეხვდა ამათ ახალი რუსის ჯარი და ᲛᲐᲨᲘᲜ კი ისევ დაბრუნდნენ და ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲨᲘ დაბანაკდნენ.

—

„ᲠᲔᲘᲢᲔᲠᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲑᲐᲨᲘ" 28 ივნისიდამ დაბეჭდილია შემდეგი, ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ მიღებული, ტელეგრამმა:

„ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ 36 ბატალიონი დაბანაკდა ᲧᲐᲠᲐᲮᲝᲜᲔᲖᲨᲘ, რომელიც ერთი საათის სიშორეზედ არის ᲧᲐᲠᲡᲘᲓᲐᲛ. მუხთარ-ფაშასთან მოვიდნენ ᲧᲐᲠᲡᲘᲡ მცხოვრებლები, რომელნიც სიხარულით ფეხზე ალარ დგანან, რადგან ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარმა გაათავისუფლა ისინი რუსებისაგან, რომელნიც თითქმის მთელი თვის განმავალობაში ყუმბარებს უშერდნენ და მუდამ წამს თავ-დასხმასა და ციხის აღებას უქადდნენ."

—

ᲐᲛ გვარსავე ამბავს იწერებიან ნემეცურს „ᲥᲔᲚᲜᲘᲡ გაზეთშიაც", რომლის ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲔᲚᲘ კორრესპონდენტი ამბობს, რომ 29 ივნისს მუხთარ-ფაშა თავისუფლად შეეიდა ᲧᲐᲠᲡᲘᲡ ციხეში და დიდძალი სამხედრო მასალები და აგრეთვე ბევრი სურსათი მიუტანა იქ დაყენებულ გარნიზონსაო. ᲔᲡ გარნიზონი და ᲧᲐᲠᲡᲘᲡ მცხოვრებლები აქებენ, ადიდებენ მუხთარ-ფაშას, რადგან თავის მხსნელად მიაჩნიათ ისაო. საზოგადოთ აქ, მცირე ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ველზე ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘ ამ უკანასკნელ დროს, ᲖᲘᲕᲘᲜᲗᲐᲜ გამარჯვების შემდეგ, ძალიან გამხნევდნენ, ვაამაყდნენ; იმათ სრული იმედი აქვთ, რომ ყველგან დაამარცხებენ რუსებს, საცა კი შეხვდებიან. რუსის ჯარი ᲐᲚᲔᲥ ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ იწევს."

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲘ გაზეთი „Daily News", რომელიც რუსეთის მომხრე და თანამგრძნობ გაზეთად ითვლება, ამბობს, რომ საქმე ახლა იწყება, როცა რუსის ჯარი ᲓᲣᲜᲐᲘᲖᲔᲓ ვადავიდა და ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲘᲡ მთებს უახლოვდებიანო. ᲐᲛ გაზეთის კორრესპონდენტის სიტყვით,

„ᲗᲣ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარმა იმაზე მოძეტებული წინააღმდეგობა ვერ გაუწია რუსებს, რაც ᲓᲣᲜᲐᲘᲖᲔ გაუწია, მაშინ უეჭველია, რომ რუსები ერთის თვის შემდეგ ᲐᲓᲠᲘᲐᲜᲝᲞᲝᲚᲨᲘ ამოჰყოფენ თავს და იქნება ამათ არც კი აიღონ ᲡᲘᲚᲘᲡᲢᲠᲘᲐ, ᲕᲐᲠᲜᲐ, ᲨᲣᲛᲚᲐ და რუსჩუკი, ისე პირ-და-პირ გასწორონ ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲡ გადაღმა. რუსებს იმდენი ჯარი ᲰᲧᲐᲗ აქ, ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐᲨᲘ, რომ იმათ თავისუფლად შეუძლიანთ ერთი ნაწილი ამ ჯარისა ზემოხსენებულ ციხეებს გარშემო შე-

მოარტყას, უკანაც დასტოვონ სურსათის გზის დასაცველად და საკმაო კიდევ მაინც დარჩებათ, რომ ადრიანოპოლისაკენ გაემგზავრონ.“

„ერთის სიტყვით, თუ შემდეგშიაც ისე უთაურად წაიყვანეს აქ ოსმალოებმა ბრძოლის საქმე, როგორც დღემდინ მიჰყავდათ, ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ამ მომავალ ენკენის ანუ ღვინობის-თვის იქით აღარ გაგრძელდეს ბრძოლა, თუმცა ოსმალოები არ დათანხმდებიან მორიგებაზე, სანამ უკანასკნელი ერთი ციხე დარჩება იმათი აქ რუსებისაგან აუღებელი.“

—

ამავე გაზეთის სტამბოლელი კორრესპონდენტი იწერება, რომ ოსმალოს სამხედრო მინისტრი და აბდულ-ჰერიმფაშა 25 ივნისს კიდევ შუმლაში არიან და საომრად ემზადებიანო, რადგან მალე აქ დიდ შეტაკებას მოელიან რუსის ჯართანაო. სტამბოლში ბევრი ჩერქეზები და ზეიბეკები მოდიან და სამხედრო სამსახურში ჩარიცხვასა და ბრძოლის ველზე გაგზავნას თხოულობენო. შესანიშნავი არისო, ამბობს კორრესპონდენტი, რომ ჩერქეზები თითქმის ყველანი კავკაზიაში გაგზავნას თხოულობენო, ევროპის ბრძოლის ველზე კი მაინცადა-მაინც დიდის კმაყოფილებით არ მიდიანო.“

—

„ბერლინის გაზეთის“ ადრიანოპოლელი კორრესპონდენტი ამბობს, რომ დღე არ გავა ისეო, რომ აქედამ ბალკანის მთებისაკენ ახალი ჯარი არ გაგზავნონო.

რეშ-ფაშა ოსმალოს ზღვის მინისტრი წასულა სტამბოლიდამ ბოლგარიაში იმ განზრახვით, რომ თვალ-ყური ადევნოს ბალკანიის გზებისა და ციხეების გამაგრებას; ამ მინისტრთან ერთად წამოსულა სტამბოლიდამ ინგლისელი პოლკოვნიკი ბეკერი.

—

ვენის გაზეთს „Tagblatt“-ში მოყვანილია სტამბოლიდამ მიღებული შემდეგი ცნობა:

„დიდი ღელვაა აქ ხალხისა. ყველა მოუთმენელად მოელის ბრძოლის ველიდამ ახალ ამბებს. მაგრამ, როგორც ყოველთვის და ყოველგან, ნამდვილი ამბის შეტყობა სრულებით შეუძლებელია აქ, რადგან ოფიციალური ცნობები, რომელსაც სამხედრო სამინისტრო აცხადებს, შორს არიან ჭეშმარიტებისაგან.

„ბევრი თოფ-იარაღი მოაქვთ აქ ინგლისიდამ, საფრანგეთიდამ და ბელგიიდამ. მმართებლობამ ბრძანება გამოსცა, რომ 140,000 ახალი ჯარი უნდა მოიკრიბოსო. მე დამარწმუნეს, რომ ეს ჯარი ორი თვის განმავალობაში სრულიად დამზადებული, დაიარაღებული იქნება (თოფ-იარაღი, ღვთით, საკმაოთ გვაქვსო) და იმ წამსვე გაგზავნით სულ ბოლგარიაში და დუნაიზედაო. სულთანმა და იმის ძმებმა სამხედრო საჭიროებისათვის 25 მილიონი ფრანკი შესწირეს თავის საკუთარის ჯიბიდამ.“

—

გაზეთს „Daily News“-ში დაბეჭდილია ზიმნიციდამ მიღებული ამბავი, რომ მთელი ბოლგარია სავსეა რუსების ჯარებისა და ცხენებისათვის რუსეთიდამ მოტანილის სურსათითაო. ტყუილიაო, ამბობს ამ გაზეთის კორრესპონდენტი, რომ იწერებიანო, ვითომც ოსმალოები მიდიან თუ არა აქიდამ, ანადგურებენ და იკლებენ ყველაფერსო. მე თვითონ დავიარე ბევრი ალაგებიო, საიდამაც გასულან ოსმალოს ჯარები და ჩემის თვალით დავრწმუნდიო, რომ იმათ არაფრისთვის ხელი არ უხლიათ; ყანები აქ ჩინებულია წელს და კარგ მოსავალსაც მოელიან.“

საქართველო

„დროების“ კორრესპონდენცია

რაჭიდამ, 2 ივლისს. წასრულის წლის ერთს „დროების“ ნომერთაგანში იყო დაბეჭდილი, რომ ერთი აქაური აზნაური, სიკო ჯაფარიძე, რომელიც სხვა-და სხვა ავაზაკურის მოქმედებისათვის არის მიცემული სისხლის სამართალშიო, შვიდჯერ გაექცათ ხან სატუსაღოდამ, ხან გზიდამ და დასასრულ აქაურმა უეზდის უფროსმა დააჭერინა და სთხოვა ღუბერნატორსო. რომ ეს ავაზაკი რკინის ბორკილით ყოფილიყო დაპყრობილიო.

ეს ზომაც უქმი გამოვიდა. ჯაფარიძე ბორკილიანი გაიქცა შარშან შემოდგომაზე შორაპნის მაზრის წირქვალის საზოგადოების სოფლის სასამართლოდამ, სადაც იყო დაბარებული გამომძიებლისაგან.

ეს ავაზაკი გუშინ დაიჭირა რაჭის უეზდის უფროსის განკარგულებით გაგზავნილმა უეზდის სასამართლოს თარჯიმანმა ბ. ჩიკვიაძემ, რომელსაც ოთხი მარჯვე ვაჟიკაცები ახლდა.

შემთხვევამ ეს ავაზაკი იმ დროს, როდესაც ეძებდენ, შეჰყარა ტყეში პირდაპირ ჩიკვიაძეს, რომელსაც გარდა თავისის ძმისა გვერდით არავინ ჰყოლია და როდესაც უთქვამს ავაზაკისათვის, რომ დამორჩილებოდეს, მას ამოუღია ხანჯალი და სურვებია მოეკლა ჩიკვიაძე; მაგრამ ამ უკანასკნელს მარჯვეთ აუცილებია მოქნეული ხანჯალი და თვით მოუსწრია რხმლის ყუის დაკვრა თავში ავაზაკისათვის და ისრე მწარედაც, რომ ის იქვე წაქცეულა უგრძნობლად და ესრეთ მჭისვე შეუპყრიათ ის ჩიკვაიძეს და მისს ძმას ბლახუას.

დღეს ამ ავაზაკს, დაბოლოებულს ხელში და ფეხში, გზავნიან ქუთაისის სატუსალოში, მაგრამ მაგარი ის არის, რომ აქ ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ის ადრე იქნება თუ გვიან, კიდევ გაიქცევა.

ყველა ბოროტების აღწერა, რაც ამ ავაზაკმა ჩაიდინა ამ უკანასკნელის ხუთის წლის განმავალობაში, შეუძლებელია. ყველა მიხვდება, რომ შვიდჯერ სატუსალოდამ გაგცეული ბევრს ცუდს იქმოდა. ახლაც არ ჰფარავს, რომ კიდევ გავიქცევი და უეზდს უფროსს და დამჭირველებს აუწიოკებ ცოლშვილსაო.

მეტად შეეიწროებული იყვნენ რაჭველები ამ ავაზაკისაგან და რიგია პროკურორმაც და ღუბერნიის მთავრობამაც მიიღონ ჯეროვანი ზომა, რომ მოესპოს ამას საშუალება ხელახლავ გაქცევისა.

ძრამაგელი

დ. ონი, 1877.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ხონთქარი ძალიან შეწუხდა თურმე, როცა შეიტყო, რომ რუსის ჯარი ასე დაუბრკოლებლივ გადავიდა დუნაიზე სისტოვოსთან. მორჩენიდა თუ არა ეს ამბავი, იმწამსვე მოიხმო ყველა მინისტრები და ჰკითხა: — როგორ მოხდაო, რომ 300,000 ჩვენმა ჯარმა ვერ დააბრკოლეს რუსების დუნაიზე გადმოსვლა და ასე ადვილად გამოუშვეს ისინი ამ მდინარეზედაო? მინისტრებმა უპასუხეს თურმე, რომ ეს დუნაის არმიის მთავარ სარდლის აბდულ-ჰერიმ-ფაშის საქმე არისო. ხონთქარმა მოსწერა დეპეშა აბდულ-ჰერიმს და მოსთხოვა ამ გარემოების ახსნა. ამ დეპეშაზე აბდულ-ჰერიმ-ფაშამ პაწუხად გამოუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„გაფიცებთ, თქვენო უდიდესობავ, ყველაფერს, რომ ნუ დაღონდებით, ნუ შესწუხდებით იმის გამო, რომ რუსები დუნაიზე გადმოვიდნენ. ეს გარემოება მაინცა-და-მაინც ყურადღების ღირსი გარემოება არ არის. მე ჩინებული პლანი მაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ, ამ ჩემ პლანის შემწეობით, მე დავამარცხებ რუსებს და ისე, რომ ერთიც არ გაუშვა ცოცხალი აქედამ. ვთხოვ თქვენ უდიდესობას, რომ ამ ჩემი პლანების შესრულების ნება მომცეთ და ნუ დაუჯერებთ ზოგიერთ პირთ, რომელნიც ჩემ წინააღმდეგ რაღაცაებს ლაპარაკობენ მანდ სტამბოლში.“

ხონთქარი არ დაკმაყოფილდა თურმე ამ პასუხით და ნამდვილი გარემოების შესატყობლად და განკარგულების მოსახდენათ გაგზავნა დუნაიზე სამხედრო მინისტრი რადიფ-ფაშა.

— ერთს ინგლისურს გაზეთში იწერებიან, რომ მიტჰად-ფაშის სტამბოლში დაბრუნება ოსმიანობის მსვლელობაზედ არის დამოკიდებულია: თუ დუნაიზე ან აზიის ბრძოლის ველზე ერთხელ კიდევ საგრძნობელად დაამარცხეს ოსმალოები, მაშინ, უეჭველია, ხონთქარი იძულებული შეიქნება, ძალა-უნებურად მოიხმოს მიტჰად-ფაშა და სახელმწიფო გამგეობა იმას ჩააბაროს. თუ არა და მიტჰადის დაბრუნებას არ უნდა მოველოდეთ.

— იმ უკმაყოფილებაზე, რომელიც ოსმალოს მმართებლობისა და იმის განკარგულების შესახებ, ქრიტის (ქანდიის) კუნძულზე დღე მუდამ მატულობს, აი რას იწერებიან ინგლისურს გაზეთში „Daily News“-ში:

„ქრიტის კუნძულის ქრისტიანე მცხოვრებლების წარმომადგენელთა სთხოვეს სულთანს, რომ მას შეეცვალა კუნძულისათვის მინიჭებული კანონები. ჯერ-ჯერობით სულთანისაგან პასუხი არ მისვლიათ; მაგრამ, როგორც ოსმალოს ზოგიერთა ოფიციალურ პირთა ილაპარაკეს, ამ თხოვნაზე უარი მოუვათ კუნძულელებსა, რომლის შემდეგაც თავათ კუნძული სამხედრო მდგომარეობაში იქნება გამოცხადებული.—მაგრამ ამ უარს ძრიელ ცუდი შედეგი ექმნება ოსმალეთისათვის: ის იძულებულ გახდის კუნძულის ქრისტიანეთა მცხოვრებლებს უფრო აშკარათ და გამბედავათ იმოქმედონ. ამ საქმის თავობაზე, როგორც გამოჩნდა, ინგლისის კონსულსა და კუნძულელებს შორის მიწერ-მოწერა ყოფილა, რომელშიაც, სხვათა შორის, ეს უკანასკნელნი აცხადებდნენ სურვილს, რომ ინგლისმა მიიღოს თავის მფარველობის ქვეშ იმათი ქვეყანა. მაგრამ კონსულს უარი უთქვამს ამაზე — „ჩემი მმართებლობისაგან მიცემული ინსტრუქციები, უთქვამს კონსულს, მე ნებას არ მაძლევენ, რომ კუნძულელების ამ გვარი სურვილის მიღწევას დაეხმარო ან ხელი მოუმართო. მე გავიგე, რომ ამ საქმისავე შესახებ ინგლისის მმართებლობის სათხოვნელათ დემონსტრაცია მზადდებაო. მაგრამ ტყუილ-უბრალო შრომა იქნება კუნძულელების მხრით, რადგან ინგლისსა და ოსმალოს შუა დადებული პირობები პირველს იმათგანს ნებას არ აძლევს, რომ ოსმალოს იმპერიის ერთობას შეეხოს. ამის მაგიერად, ჩემის ჰაზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ კანდიელებმა გაგზავნონ ოსმალოს პარლამენტში თავიანთი წარმომადგენელნი მთელი ოსმალეთისათვის შემოსადებ რეფორმების ვარგისობის განსახილველად და გასასინჯველათ, რომელთაც ეგებ კუნძულელებიც დაკმაყოფილონ.“ ქანდიელების წარმომადგენელთა ამაზედ მიუგეს კონსულს, რომ რადგან ოსმალოს ახალი კონსტიტუცია უარ-ჰყოფს კუნძულისათვის მინიჭებულ ზოგიერთ უპირატესობაებს, რომელიც ერთობ ძვირათ დაუჯდათ მათ, ამისათვის ისინი არას დროს არ აღიარებენ ამ კონსტიტუციას. „მწარე გამოცდილებამ გვასწავლა ჩვენ, რომ არას დროს არ უნდა დავენდოთ ოსმალოსაგან განზრახულს რეფორმებზე. ღღეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ საკმაოა ერთი ნაპერწკალი, რომ მთელს კუნძულს ცეცხლი მოედოს,—“ უთხრეს მათ კონსულს.

გერმანია

ბელგიურს გაზეთში „Indépendance Belge“-ში იწერებიან ბერლინიდამ, რომ მდ. დუნაიზე რუსის ჯარის გარდასვლის ამბავი დიდის აღტაცებით გაუგია გერმანიის იმპერატორს. დიდი ქება შეუსხამს რუსის არმიისათვის, და ხელმწიფე იმპერატორისათვისაც მილოცვის ტელეგრამა გამოუგზავნია. ნემენცური გაზეთები ამბობენ, რომ ამ უკანასკნელს დროს რუსეთისა და გერმანიის იმპერატორებს შუა გაცხარებული მიწერ-მოწერა არისო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერატორი მომქმედ არმიასთან იმყოფება დუნაიზედაო.

— გერმანიის იმპერატორი, ერთი ნემენცური გაზეთის სიტყვით, რამდენათაც ამ ჟამად რუსეთსა და მის მმართებლობას პატივსა სდებს, იმდენათ ოსმალოსა და მისს მართებლობას პატივსა ხდის. ეს გაზეთი ამბობს, რომ ბერლინის დიპლომატიური წრეები ერთობ გააკვირვა იმ გარემოებამაო, რომ ოსმალოს ახალი ელჩი, სადუღლა-ბეი იმპერატორმა, პირველად ნახვისა და გაცნობის შემდეგ, როგორც ჩვეულებათ არის სადილად არ მიიწვიაო.

საფრანგეთი

7-ს ივლისს გამბეტას მიუღია ელზასლოტრანგიიდამ შვეიცარიაში გარდასახლებული ფრანცუზების დეპუტაცია. დეპუტაციას მშვენიერი ხელოვნების ნაკეთი საათის და თან ადრესი მიურთმევია გამბეტასათვის, რომელშიაც ისინი იმის მომქმედებას აქებენ და ამართლებენ. დეპუტაციის გამძღოლმა ფორმზედმა უთხრა გამბეტას, რომ ფრანცუზების შვეიცარიელი ქალონია ერთხმად აღიარებს 16 მაისის გაკიცხვას და ისევ ხელახლად იმ 363 დეპუტატის ამორჩევას, რომელთაც მარცხენა მხარის მანიფესტს მოაწერეს ხელი. გამბეტამ ამის პასუხათ მიუგო, რომ ეხლანდელს კრიზისს ვითარი განელენა არ ექნება საფრანგეთის რესპუბლიკაზედ, რომ რამე გვასთ არეულობის მოხდენა შეუძლებელი არისო. ამას გამბეტამ ისიც დაუმატა, რომ მას სრულებით არა აქვს განზრახვა რესპუბლიკის პრეზიდენტის კანდიდატათ გამოვიდეს.

„ჩემი ადგილი, სთქვა მან, დემოკრატიული პრინციპებისათვის მებრძოლთ რაზმში არის. საფრანგეთი არასოდეს არ უნდა ცდილობდეს რომელიმე თავის შვილის ერთობ წინ წაწევას და ხალხის თვალში მის ამაღლებას. მას აქვს უფლება ყველა თავის შვილს მოსთხოვოს, შეძლებისა და გვარათ, უმანკო და უზღველი შრომა თვისი სამშობლოს დღეგრძელობისა და კეთილ-დღეობისათვის.“

ავსტრო-ვენგრია

გაზეთს „Standard“-ში იწერებიან პეშტიდამ, რომ რუსეთის ელჩის—ნოვიკოვის ნალაპარაკევს იმ ზომებზე, რომელნიც რუსეთის მმართებლობას ბოლგარიაში შემოჰყავს და ხმაროობს, ‘ბრაჭი ანდრაში ვერ დაუკმაყოფილებია, რადგან ის ამბობსო, რომ ეს ზომები არ ეთანხმებიან რუსეთის დაპირებასაო. ბრაჭი ანდრაში ცდილობსო, რომ რუსეთი ისევ თავის მიცემულ, პირობებზე დაყენოსო, ე. ი. რომ ბოლგარიის რუსების ჯარებით მოკავება მხოლოდ დროებითი იქნებაო და რომ, გარდა ამისა, რუსეთმა აღმოსავლეთში, დანარჩენი უმთავრესი სახელმწიფოების დაუკითხავათ არავითარი ცვლილება არ მოახდინოს.

იტალია

ეს უკანასკნელი ხუთი-ექვსი წელიწადი იქნება, რაც რომის პაპა, პიო მე-IX, ყოველს წელიწადს კვდება, მაგრამ ვერ მოკვდა.....

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამისთანა მოვლენას ერთობ დიდი განელენა უნდა ჰქონდეს კათოლიკე ეკკლესიის ფანატიკებზე, მაგრამ, როგორც სამზღვარ გარეთელი, გაზეთები იწერებიან, „წმიდა მამა“ ეხლა კი უიმედო მდგომარეობაში არის: დოქტორები დღე-დღეზედ მოელიან იმის წმიდა სულის ამოსვლასაო. ამ გარემოების შეშინებულს პაპის ტახტის სეკრეტარს ქარდინალს სიმეონის ოფიციალური წიგნები მიუწერია პაპის ყველა ნუნციებისათვის (ელჩებისათვის), რომ მათ თავიანთ მრევლში ილოცონ პიო მე-IX-ს ავათმყოფობისაგან განთავისუფლებისათვის. ამ წერილებში მას, სხვათა შორის, გამოუცხადებია, რომ საკათოლიკე ეკკლესიის მდგომარეობა ერთობ საშიშ მდგომარეობაში ვარდებაო და ამისათვის სანატრელი არისო, რომ უმთავრესს სახელმწიფოებმა გამოსთქვან

-თაიანთი ჰაზრი და შეხედულობა მომავალს კონკლავზედაო (კარდინალების კრება, რომელზედაც მიცვალებული პაპის მაგიერი, ახალი პაპა უნდა ამოირჩიონ).

სერბია

ვენის გაზეთში „Tagblatt“-ში იწერებიან ბელგრადიდამ:

„სერბიის მმართებლობამ პარიჟში ორი მილიონი დუკატი აიღო სესხათ. თავად ნეგოტინში ხორვატოვიჩის ჯარი დაუთვალიერებია. 4-ს ივლისს (22 ივნისს) სერბიასა და რუმინიას პირობა შეუკრავთ, რომელშიაც ნათქვამია, რომ ამ მომავალი აგვისტოს თვის შუაში მათ ორთავემ ერთად უნდა დაიწყონ, ოსმალოს წინაამდეგ, მოქმედებაო.

განცხადებანი

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის რჩევის გადაწყვეტილების ძალით, რომელიც დადგენილია ამ 1877 წლის 6 ივნისს, **თფილისის ქალაქის გამგეობამ** აღმასრულებელი ჩინოვნიკის თანამდებობის აღმასრულებელს **ლუარსაბ მარაგოვს** მიანდო **თითო მანეთის ხარჯის** გადახდა იმ მამობრივი სქესის მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომელნიც ქირით დგებიან ქალაქს თფილისში.

ამ ფულის შემოტანის დროს ყოველ მოსამსახურემ და მუშამ უნდა მოითხოვოს დაბეჭდილი კვიტანცია, რომელიც იმათთანავე უნდა ამოსჭრან შნურიანის წიგნიდამ. ხ ე ლ-ნ ა წ ე რ ს კ ვ ი ტ ა ნ-ც ი ე ბ ს, რომლებზედაც სხვა ვისმესი ხელი იქნება ზედ მოწერილი, და არა მარაგოვისა ქ ა ლ ა ქ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა ნამდვილად და კანონიერად არ აღიარებს.

ამ კვიტანციებს გარდა **მუშები**, რომელთაც სგვა და-სხვა საქონელსა და ნივთეულობას ზიდავენ ქალაქში, **მიიღებენ მარაგოვისაგან** ნომერ დასმულს მეტალიურს ნიშანს (ბლიახას), რომელიც ამ მუშებმა უეჭველად მარცხენა გულზედ უნდა მიიკრან ტანისამოსზე და ისე ატარონ.

(3—1)

პარიჟელ ახალგაზდა ქალს ჰსურს აძლიოს უროკები ფრანცუზულის ენის გრამმატიკისა და ლაპარაკისა.

მსურველს ადრესის შეტყობა შეუძლიან „დროების რედაქციაში“, აგრეთვე პოჯორში, ბელაევის სახლებში, სადაც ღენერალის მორენცის ოჯახობა დგას.

(4—4)

ძალისამებრ კონტრახტისა, რომლითაც შევეკარ მე თფილისის ქალაქის გამგეობას, 3 ივნისს ამა 1877 წელსა, მე ავიღე იჯარით (ოტკუპით) შეკრება ხარჯისა, რომელიც ერთმევის საზიდვისათვის, მსუბუქი დროშკებითა, ფაეტონებითა და მძიმე საქონლის ზიდვითა, პოვოსკებითა და თუ ფურგუნებითა.

ამ საგნისათვის მაქვს ნაქირავები კანტორა ერევნის მეიდანზედ, ალავერდოვის სახლში სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ, მეჩანსკის უპრავას გვერდით.

უმდაბლესად ვსთხოვ ყოველთა, რომელთაც არ მიუღიათ ამ წლისათვის ბლიახი, გამოცხადდნენ ჩემს კანტორაში მისაღებლათ ბლიახისა, რომლისათვისაც უნდა მისცენ განწესებული ფული. ფულის მიღება და ბლიახის მიცემა დაწყობილი იქმნება ყოველ დღესა დილით 8 საათიდამ ვიდრე 2 საათამდე შუადღის უკანა, გარდა კვირისა და უქმი დღეებისა. ამისთვის მაქვს პატივი გამოუცხადო ყოველთა საერთოთ.

მოიჯარადრე სტეფან დოვლათბეგოვი

„კახეთი“

სარძეო სარდაფს „კახეთში“, ყოველდღე ისყიდება: კ ა რ ა ქ ი, ნ ა ღ ე ბ ი, მ ე ტ ა ნ ა, ტ ვ ო რ ო გ ი, ყ ვ ე ლ ი, უ დ უ ღ ა რ ი დ ა დ უ ღ ე ბ უ ლ ი რ ძ ე დ ა მ ა წ ო ნ ი.—

ამ ზაფხულს მსურველთ პოჯორშიაც შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება, მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩქარებით წინ და წინ გამოუცხადონ სარძეო სარდაფს თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდესთ.

სარძეო სარდაფი „კახეთი“ იმყოფება სასახლის ქუჩაზე, მუზეუმის პირდაპირ, შაბუროვის სახლებში, სადაც უწინ ივანოვის ბიბლიოთეკა იყო.

LA VELOUTINE
(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

იგეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი — გამომგონი

—

pommade satin
(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—142

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
აკ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
აკ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

პეტერბურგი, 6 ივლისს	მან.	კაპ
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიჟში 264 სანტიმი.	—	81
ესკონტი (სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი (პირველისესხი)	211	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	210	50
ბირჟის ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის (5½)	83	—
მოსკოვის (5%). . . .	90	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	—
კავკაზის და მერკურის. .	203	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	735	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა

თფილისი, 9 ივლისს	მან	კაპ.
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	20
ფქვილი წითელი. . .	1	—
ქერი ფუთი. . . .	—	70
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	—
— ამერიკისა, ფუთი. .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფთ.	7	80
მატყლი თუშური ფთ.	6	—
— თარაქამისა ფთ. .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	20
ქონი, ფუთი. . .	5	50
ქონის სანთელი ფუთი.	6	20
სტეარინის სანთელი, ფ.	12	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	54
— ცხვრისა, ლიტრა .	—	54
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	80
— ფხვნილი ფუთი . .	7	50
ყავა გრგვალი, ფუთი .	25	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	7	94

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Іюля 1877 г. Типографія Меликова. გამომცემული ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი